შეადგინე ნახაზი და მისი დახმარებით ამოხსენი ამოცანა. ველში მხოლოდ პასუხი ჩაწერე.

არ დაგავიწყდეს! განზომილება (მ, კმ, სთ, მ/წმ და ა. შ.) მიუწერე პასუხს.

ამოცანა 1.

ორი პუნქტიდან, რომელთა შორის მანძილი 35 კმ-ია, ორი ქვეითი (ანუ ფეხით მოსიარულე) ერთმანეთის შესახვედრად ერთდროულად გამოვიდა. ერთის სიჩქარეა 2 კმ/სთ და მეორესი__ 5 კმ/სთ. რამდენი საათის შემდეგ შხვდნენ ისინი ერთმანეთს?

ამოცანა 2.

A და B პუნქტებიდან ორი ველოსიპედისტი ერთმანეთის შესახვედრად დღის 2 საათზე გამოვიდნენ და ერთმანეთს საღამოს 9 საათზე შეხვდნენ. A პუნქტიდან გამოსულის სიჩქარეა 245 მ/სთ და B პუნქტიდან გამოსულის __ 135 მ/სთ. რა მანძილია A და B პუნქტებს შორის?

ამოცანა 3.

სადგურიდან ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით ერთდროულად გავიდა ორი მოტოციკლისტი. პირველის სიჩქარეა 65 კმ/სთ და მეორესი __ 64 კმ/სთ. რა მანძილი იქნება მათ შორის 4 შემდეგ, თუ ისისნი მოძრაობას იგივე სიჩქარეებით გააგრძელებენ?

ამოცანა 4.

ბანაკიდან, ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ერთდროულად გავიდა ორი ტურისტი. პირველის სიჩქარეა 35 მ/წთ და მეორესი __ 55 მ/წთ. რა დრო იარეს გაჩერებამდე ტურისტებმა, თუ მათ შორის მანძილი გაჩერების მომენტში იყო 360 მ.

LIVEWORKSHEETS